

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალიდან
წევრების არჩევის წესი**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

წინამდებარე წესი განსაზღვრავს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის (შემდგომში - ფაკულტეტი) საბჭოს წევრთა არჩევის წესსა და პროცედურებს.

მუხლი 2. არჩევნების გამოცხადება

1. ფაკულტეტის საბჭოს წევრთა არჩევნებს აცხადებს ფაკულტეტის დეკანი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - ბრძანებით.
2. ფაკულტეტის საბჭოს წევრთა არჩევნების დანიშვნის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, ქვეყნდება ფაკულტეტის ვებგვერდზე.

მუხლი 3. არჩევნების ჩატარება და პროცედურა

ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალის 29 წარმომადგენლის არჩევა ხდება ფაკულტეტის დებულების შესაბამისად, შემდეგი პრინციპით:

- ა) 15 კათედრის მიერ, თითოეული კათედრიდან, კათედრის სხდომაზე აირჩევა 1 წარმომადგენელი.
 - ბ) 15 კათედრის მიერ დამატებით აირჩევა 14 წარმომადგენელი (ეკონომიკის მიმართულების 7 კათედრიდან 7 წარმომადგენელი, ხოლო ბიზნესის ადმინისტრირების 8 კათედრიდან ასევე 7 წარმომადგენელი).
2. ფაკულტეტის საბჭოში კათედრის მიერ ასარჩევი წარმომადგენლის კანდიდატების დასახელება ხდება კათედრის სხდომაზე. კათედრის სხდომაზე, კათედრის თითოეულ წევრს შეუძლია საკუთარი ან სხვისი კანდიდატურის დასახელება. ყოველ კანდიდატს კენჭი ეყრება ინდივიდუალურად. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობას. კათედრის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. იმ შემთხვევაში თუ თანაბარი ხმების მიღების გამო ვერ ხერხდება გამარჯვებულის გამოვლენა ტარდება განმეორებითი კენჭისყრა. განმეორებით კენჭისყრაში მონაწილეობენ ის კანდიდატები, რომლებმაც დააგროვეს ხმათა ყველაზე მეტი და თანაბარი რაოდენობა. თუ განმეორებითმა კენჭისყრამ ვერ გამოავლინა გამარჯვებული, ინიშნება კათედრის ხელახალი სხდომა.

კათედრის წევრს არ აქვს კენჭისყრისას ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლება.

3. ფაკულტეტის საბჭოს წევრების მიმართულების მიერ დადგენილი წესით არჩევისას, ეკონომიკის (7 კათედრა ერთობლივად) და ბიზნესის ადმინისტრირების (8 კათედრა ერთობლივად) მიმართულება, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ირჩევს ფაკულტეტის საბჭოს შვიდ-შვიდ წევრს. არჩევნები მიმართულებებზე ტარდება ცალ-ცალკე. არჩევნები შეიძლება ჩატარდეს ერთი და იმავე დღეს. ფაკულტეტის საბჭოს წევრად მიმართულების მიერ არჩეულად ითვლება უმაღლესი რაოდენობის ხმების მქონე პირველი 7 კანდიდატი.

4. მიმართულების მიერ ასარჩევი ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატურ(ებ)ის დასახელების უფლება აქვს: დეკანს, კათედრის ხელმძღვანელებს და აკადემიურ პერსონალს, შესაბამისი კათედრის სხდომაზე. ამავე სხდომაზე იმართება კენჭისყრა დასახელებული კანდიდატ(ებ)იდან საარჩევნო კომისიისათვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის მიზნით, რაც აისახება კათედრის სხდომის ოქმში და წარედგინება შესაბამისი მიმართულების საარჩევნო კომისიას არჩევნების ჩატარებამდე არანაკლებ 10 დღით ადრე.

5. კათედრის მიერ ფაკულტეტის საბჭოს წევრის არჩევა, აგრეთვე, კათედრის სხდომაზე მიმართულების მიერ ასარჩევი ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატურის კათედრის მიერ დასახელება ხორციელდება ღია კენჭისყრით. მიმართულების მიერ ფაკულტეტის საბჭოს წევრ(ებ)ის არჩევა ხორციელდება ფარული კენჭისყრით.

6. დეკანის ბრძანებით მტკიცდება ამომრჩეველთა სია შესაბამისი მიმართულების მიხედვით, რომელშიც შედის არჩევნების დღისათვის მოქმედი აკადემიური პერსონალი.

7. შესაბამისი მიმართულების საარჩევნო კომისია ამზადებს ბიულეტენებს ფარული კენჭისყრისათვის, რომლებშიც ანბანის მიხედვით ჩამოწერილია საბჭოს წევრობის კანდიდატთა სია; თითოეულ კანდიდატს მინიჭებული აქვს რიგითი ნომერი და ბიულეტენების სისწორე დასტურდება კენჭისყრის დღეს გაკეთებული საარჩევნო კომისიის წევრის ხელმოწერით.

8. კენჭისყრის დღეს აკადემიური პერსონალი შემოხაზავს ბიულეტენზე სასურველი კანდიდატის რიგით ნომერს და ბიულეტენს ათავსებს საარჩევნო ყუთში. მან ხმა უნდა მისცეს არაუმეტეს იმდენ კანდიდატს, რამდენი ვაკანტური ადგილიც არის გამოცხადებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ბიულეტენი ბათილად გამოცხადდება.

9. არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება თუ მასში მონაწილეობა მიიღო ხმის უფლების მქონე პირთა არანაკლებ ნახევარმა.

10. ფაკულტეტის საბჭოში მიმართულებიდან არჩეულად ითვლება ის უმაღლესი რაოდენობის ხმების მქონე პირველი შვიდი კანდიდატი, რომელიც დააგროვებს არჩევნებში მონაწილე პირთა ხმის ნახევარს მაინც. თუ თანაბარი რაოდენობის ხმები

დააგროვა 7-ზე მეტმა პირმა, იმავე დღეს ტარდება მეორე ტური, სადაც მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ თანაბარი რაოდენობის ხმების მქონე კანდიდატები.

11. არჩევნების შედეგები ფორმდება სათანადო ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და წევრები.

12. არჩევნების შედეგების გაფორმების შემდეგ კანდიდატურის მოხსნის შემთხვევაში ტარდება ხელახალი არჩევნები მიმართულების შესაბამისი რაოდენობის ვაკანტურ ადგილებზე.

მუხლი 4. საარჩევნო კომისია

1. მიმართულებების მიერ ფაკულტეტის საბჭოს წევრთა არჩევის პროცესს ატარებს საარჩევნო კომისია, რომლის შემადგენლობა მტკიცდება ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით. ამავე ბრძანებით განისაზღვრება საარჩევნო კომისიის წევრთაგან კომისიის თავმჯდომარე.

2. საარჩევნო კომისია უფლებამოსილია თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

3. მიმართულებებზე საარჩევნო კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისაგან.

4. საარჩევნო კომისიის წევრი არმონაწილეობს არჩევნებში, როგორც ფაკულტეტის საბჭოს წევრობის კანდიდატი.